25/02/2022

იცნობდეთ ქართველ მღვდელმთავრებს რომლებმაც უკრაინას მხარდაჭერა საჯაროდ გამოუცხადეს

ამ წუთამდე უკრაინას საჯაროდ სოლიდარობა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ილია მეორემ და წმინდა სინოდის წევრმა ექვსმა მღვდელმთავარმა გამოუცხადა, სამწუხაროდ დუმილს ინარჩუნებს მღვდელმთავართა უმრავლესობა.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე – ,,უკრაინაში დროულად უნდა შეჩერდეს საომარი მოქმედებები, თორემ ის მსოფლიო ტრაგედიად იქცევა!”

შემოქმედელი მიტროპოლიტი იოსები – ,,სოლიდარობა უკრაინელ ძმებს”

ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტი დიმიტრი – ,,ვლოცულობ მშვიდობისთვის, რუსეთი ოკუპანტია”

დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მთავარეპისკოპოსი ზენონი – ,,მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ გვერდში დავუდგეთ ჩვენს დებსა და ძმებს უკრაინელებს”

ბოდბის მთავარეპისკოპოსი იაკობი – ,,დღეს არა მარტო უკრაინა არამედ მთელი მსოფლიო დიდი საფრთხის წინაშეა, სიმტკიცეს ვუსურვებ უკრაინელ ხალხს”

მარნეულისა და ჰუჯაბის ეპისკოპოსი გიორგი – ,,სოლიდარობას ვუცხადებ ჩვენს მოძმე უკრაინელ ხალხს”

ამერიკისა და კანადის ეპისკოპოსი საბა – ,,საჯაროდ ვგმობ რუსეთის ფედერაციის ფართომასშტაბიან შეჭრას უკრაინის სუვერენულ სახელმწიფოში!”

wenews.ge